№ 25

22 ივნისი

# ივერია

ფასი ერთი შაური

1909 წ.

სალიტერატურო და საპოლიტიკო გაზეთი გამოდის ორშაბათობით

რედაქციის ადრესი: Тифлисъ, Гановская ул. д. № 6. **К. П. Туманову.**

გაზეთი „ივერია“ გამოდის ორშაბათობით, ცალკე № ღირს ყველგან ერთი შაური. ნომერში მოთავსებული იქნება კვირა დღის ამბები და დეპეშები, რომელიც სხვა გაზეთებში სამშაბათობით გამოდის.

**წლის ფასი 3 მან. წლის დასლევამდი 2 მან.**

სარედაქციო ნაწილის გამგე კ. პ. **თუმანიშვილი.**

**ბაღი რესტორანი „ЮЖАНЕ“** (სამხრეთელები)

დვორცოვის ქუჩა, თავად-აზნაურობის თეატრთან — ბაღში. ყოველ დღე დაუკრავს დღისით 2—4 საათამდის და საღამოს 9—2 საათამდის თფილისის საზაფხულო თეატრის საოპერო ორკესტრი ბ-ნ **პოლიკარპეს** ხელმძღვანელობით. სადილი ორი ბლუდიდან ღირება — 60 კაპ. 3-დან 80 კ. 4-დან — 1 მან. აქვე არის საჭმელების სია და პრეისკურანტი ყველანაირის საგნებისა.

ფასები ხელმისაწდომია. **შესვლა უფასოა.**

**გაიღო „კაფე ლონდონი“**

გოლოვინის ქუჩა, მანთაშევის სახლი № 6 „სობრანიეს“ ქვეშ. მუდამ იყიდება: ხილეულის და მინერალური წყლები საუკეთესოდ მოწყობილ ქარხნის

**მ. ე. ლაღიძის და კომპ.**

აგრეთვე უაჯა, ჩაი, შოკოლადი, მაწონი, მაწონი, ღუდი ადგილობრივი და შემოტანილი, სხვა და სხვა ცივი ზაკუსკა, ბუტერბროდი, ცხელი პიროჟკები და პიროჟნები. სისუფთავე და კარგი სამსახური. კაფესთან ბაღია წყლის შარავანდით.

**პატივისცემით ნეფარიძე და ამხ.**

**საგაგაშვილო-თხინვალის**

ადგილების მყიდველთა საყურადღებოდ

ამ წლის 27 აპრილს გაუთავ[illegible] ლნიც ჰყიდნენ ამ ადგილებს. ახლა მამულის პატრონნი ვაცხადებთ საყოველთაოდ, რომ ამ ადგილების მყიდველთ უნდა მიმართონ ჩვენ რწმუნებულს დავით წულუკიძეს (სასახლის ქ., თავ.-აზნაურობის ქარვასლა, № 113).

**გიორგი ხიმშიაშვილი.**

**ოპეკუნი გ. ნ. დიასამიძე.**

დაიბეჭდა და იყიდება

ახალი წიგნი

**„Сборникъ грузинскихъ поэтовъ“**

რუსულად ნათარგმნი

**კნ. ს. ვ. ამილახვარისა**

იყიდება ტფილისში, ცენტრალურ წიგნის მაღაზიაში, ქართველთა შორის წ.-კ. გამავრცელებელ საზ., ხიდდეკელთანდა „Новая Речь“. 3—1

ტფილისის საიმპერატორო



სამუსიკო სასწავლებლის

ფორტეპიანოს ამწყობი

**გ. ლ. ხარიშჩაროვი**

ვორონცოვის ძეგლთან, რაზიეზჟაია ქუჩა № 11.

**მიიღება შესაკეთებლად** ყოველგვარი როიალი და პიანინო პასუხისგებლობით **იყიდება** როიალიდან და პიანინოდან მტვერის **გამოსაბერავი**. ფასი 3 მანეთი.

კახეთიმევენახეთა ამხანაგობა

**საერო**

ამხანაგობის წევრთა ვენახების ღვინო ბოთლი 25 კაპ. და მეტიც.

შეძლების მუშტრებს დკინთ დ კლებულ ფ სებში ეძლევათ

**მაღაზია იმყოფება ერევნის მოედანზე, თამამშევის ქარვასლაში**

მიიღება ხელის მოწერა

**დუტუ მეგრელის ნაწერებზე**

**ორ წიგნად:** 1) **ლექსები,** 2) **მოთხ ობები.**

თითო წიგნი იქნება ჩვეულებრივ ფორმატის 250—300 გვერდამდის და ღირება (ორივე წიგნი) ხელის მომწერთათვის ერთი მანეთი. წიგნების გამოსვლის შემდეგ, თუ დარჩა გასასყიდად, ფასი გადიდებული იქნება. ფული უნდა გამოიგზავნოს „დროების“ რედაქციის სახელზე ტფილისში ან გადაეცეს წ.-კ. საზოგადოების მაღაზიაში ბ. შიო ქუჩუკაშვილს. ქუთაისში ხელის მოწერა მიიღება ბ. თომა მთავრიშვილთან.

**ავტორი-გამომცემელი სთხოვს თანამგრძნობთ,**

საქმის დასაჩქარებლად, მიიღონ თავის თავზე ნაცნობთა შორის ხელის მოწერის გამართვა და შეკრებილი ფული, რაც შეიძლება მალე, ხელის მომწერთა სიასთან ერთად გამოგზავნონ აღნიშნულ ადრესით. ხელის მოწერით შემოსულ ფულის რაოდენობა გამოცხადდება ხოლმე გაზეთ „დროება“-ში. გამოცემის სრული ანგარიში და ხელის მომწერთა სია კი ერთ-ერთ გამოცემულ წიგნში.

**სანატორიუმი**

**ექიმ. ვ. დ. ღამბაშიძისა**

(პატარა ცემი, ბაკურიანის გზაზე)

იწყებსმოქმედებას 15 ივნისს. დაწვრილებით ცნობების მისაღებად მისწერეთ: городъ Боржомъ доктору В. Д. Гамбашидзе. 4—1

მხოლოთ 10 დღით

15, 16, 17, 18, 19, 20, 21, 22, და 23, ივნისს.

დაკლებულის ფასებით

**ნ. ი. კუნდურის**

მაღაზიაში

სასახლის ქუჩა, სათავად აზნაურო ს ხლი.

დაკლებულის ფასით

**ქალის საცვალი, ქალის ხალათები**

**ჩულქები, წინდები**

შალის **იუბკები** აბრეშუმისა.

ფასები შეუდარებლად

**კაფე პარიზი**

ტფ. თავად-აზნაურობის თეატრის ეზოში (Дворцовая ул.)

ჩაი, რძე, ყავა, შოკოლადი, კაკაო პიროჟკები, ბუტერბროტები (15 კაპ. და მეტიც)

**ხაჭაპური**

**ცივი და ცხელი კერძები 25 კ. და მეტი**

სასმელი წყლები

**ლუდი, სადილი**

**ფასები ხელმისაწდომია**

სისუფთავე და კარგი სამსახური



Заводск марка

Кавказскій натуральный

**Коньякъ**

**Д. З. Сараджевъ**

О. С. (Очень Старый) тифлисъ № 25

ეკისრულობ სოფლის და ქალაქის მამულების

[illegible]

**გადამირავებას**

ადრესი: г. Тифлисъ ул. Бѣлинскаго, бывш. Кирпичная д. № 19. кв. кн. Херхеулидзе.

ნახვა შეიძლება ყოველ დღე, დილის $8\frac{1}{2}$—10 საათამდის — საღამოობით 5—7 საათამდის. შეიძლება წერილობითაც.





Акц. О-во

**АЛЕКСАНДЕРВЕРКЪ**

**А. ФОНЪ-ДЕРЪ НАМЕРЪ.**

МОСКВА, Мясницкая, № 20.

ХАРЬКОВЪ, Московская, № 11

И ВО ВСѢХЪ ЛУЧШИХЪ МАГАЗИНАХЪ ХОЗЯЙСТВЕННЫХЪ ПРИНАДЛЕЖНОСТЕЙ.

კახეთის ნამდვილი

ღვინო

ტფილისი, ტელეფონი № 31



[illegible]

**„ქმობა“**

**ქართული ხალხური სიმღერები და ლექსები**

გამოვიდა და იყიდება წერა-კითხვის საზოგადოების წიგნის მაღაზიაში. ლექსები შეკრებილი და ნოტებზე დაწყობილი ი. კარგარეთელის მიერ. წიგნის ფ. 50 კ.

## ახალი ამბები და დეპეშები

— — —

✦ სადგ. ბოსლევი (ქიათორის შტო) აქ გაიხსნა ფოსტის განყოფილება.

✦ ტფილისის წმ. ნინოს ქალთა სასწავლებელში გამგედ ქ-ნ ზამიატინას მაგიერად ინიშნება კნ.ს ოფიო მელიქიშვილისა.

✦ ხვალ, 23 ივნისს, სომეხთა კათალიკოზი მათეოზ II ტფილისიდან წაბრძანდება ყარსის რკინის გზით ეჩმიაძინისკენ. გზაში კათალიკოზი გაჩერდება რამდენიმე დღით ანის ნანგრევების დასათვალიერებლად.

✦ ტფ. გუბერნატორმა სასურველად სცნო თელავში გიმნაზიის გახსნა.

✦ გადაწყვეტილია გააუქმონ პეტერბურგში ბარონ ნოლდეს თანამდებობა.

✦ ქუთაისსა და ხონს შუა ავტომობილების მიმოსვლას აწყობენ.

✦ ლეჩხუმელები ცაგერსა და ქუთაისს შუა ფოსტის ყოველდღიურ მიმოსვლას ითხოვენ.

✦ სვანეთში ყველის და კარაქის გაკეთების ინსტრუქტორები მიდიან. სოფ. ბეჩოში მეფუტკრეობის კურსებს აწყობენ.

✦ გაზ. „ჩანგი“ ძალიან გააჯავრა ჩვენმა შენიშვნამ ს.-დემ. ფრაქციიდან სამ წევრის გამოსვლამ. ჩვენს პასუხს „ივერიის“ შემდეგ ნომერში მოვათავსებთ.

✦ შაბათს, ღამის 10 საათზე და 19 წუთზე ტფილისში მიწის ძვრა მოხდა.

✦ 20 ივნისს პოლიციამ მე-5 საპოლიციო ნაწილში დაატუსაღა რაჭველი ვასილ ომიანიძე, რომელიც გენ.-გუბერნატორის განკარგულებით გადასახლებული იყო.

✦ 10 ივნისს პატრულისაგან მოკლული უცნობი ქუთაისის მაზრის, სოფ. ჩაგანის მცხოვრები გამოდგა. გვარად მანჯავიძე.

✦ დღეს დაბეჭდილ წერილში ქართლის ამბების შესახებ მოხსენებული კოტე ხერხეულიძე არის კოტე **ილიას ძე** ხერხეულიძე.

✦ სათავად-აზნ. ბანკის ზედამხედველმა კომიტეტმა თავმჯდომარედ აირჩია გ. ნ. ყაზბეგი და მის თანაშემწედ ს. რ. ვახვახიშვილი.

✦ 20 ივნისს ბაზრის ქუჩაზე პოლიციამ დაიჭირა 8 და ავჭალის ქუჩაზე — 12 უპასპორტო პირი.

✦ ცხნეთის ქ. დაიჭირეს სოფიო ბაგირნოვისა, რომელსაც მოპარული ნივთები აღმოაჩნდა.

✦ დაიჭირეს ქურდი რაჟდენ გვარამაძე, რომელიც სლივიცკის სახლში შეპარვას ცდილობდა.

✦ რეშტიდან დეპეშით გვატყობინებენ: კერეჯინის ხიდთან, რომელსაც სარბაზები და სპარსეთის კაზაკები იცავდენ, ზარბაზნის სროლაა. ხიდი დაზიანდა. რევოლიუციონერები იმარჯვებენ.

✦ იქიდანვე დეპეშა მოვიდა, რომ ცხარე ბრძოლის შემდეგ ხიდი რევოლიუციონერებმა აიღეს. კაზაკები გა[illegible] 84 კაცი, ავად არის 661.

✦ შაბათს, ედემის ბაღში, ქართველმა საზოგადოებამ გაუმართა სადილი ცნობილ ქართველ პედაგოგს და საზოგადო მოღვაწეს ნიკოლოზ ზებედეს ძეს ცხვედაძეს. სადილს 100 კაცამდე დაესწრო. ბევრი მგრძნობიარე სიტყვა წარმოითქვა. ილაპარაკეს მარშალმა თავ. პ. ი. თუმანიშვილმა, სახაზინო პალატის უფროსმა ვ. ფ. ოსტროვსკიმ და სხვებმა საპასუხო სიტყვა წარმოსთქვა თვითონ ბ. ცხვედაძემ. სადილმა მხიარულად ჩაიარა. ჩვენის მხრივ გულწრფელად ვუსურვებთ ბ. ცხვედაძეს დღეგრძელობას, რომ შეიძლოს და თავისი უანგარო სამსახური საზოგადოების წინაშე განაგრძოს

**ლონდონი.** პარლამენტთან აუარებელი პოლიციელებია. დაიჭირეს ქალთა გათანასწორების 158 მომხრე.

— — —

### 114 წლის ქალი.

პეტერბურგში გარდაიცვალა შეძლებული ქალი ქ. სოროკინისა. მიცვალებული 114 წლის იყო. შვილი უკვე მოხუცებული დარჩა, შვილის შვილი 40 წლის კაცია. მემკვიდრეობა მას თითქმის სამ მილიონ მანეთამდე დარჩა.

### სამართალი,

ალზაზში (გერმანიაში) ს სამართლომ 30 მარკით დააჯარიმა ერთი მუშა, რომელსაც ამხანაგის დასაფლავების დროს მის კუბოზე გამოსათხოვარი სიტყვა წარმოთქვა და სხვათა შორის სთქვა: „მშვიდობით, ამხანაგო, აწი ერთმანეთს ვერასოდეს ველარ ვნახავთო“ სასამართლოს აზრით ეს სიტყვები ეწინააღმდეგება ეკლესიის მოძღვრებას სულის უკვდავებისა და მკვდრეთით აღდგომის შესახებ.

### მეფე — ვაჭარი

ბელგიის მეფე ლეოპოლდი ნამდვილ ვაჭრულ ჭკუას იჩენს. სახელმწიფოს მართვასა და გამგეობაში პარლამენტის სურვილით შევიწროვებული იგი სხვა საქმეში იჩენს ნამდვილ თვითმყრობელობას, ამას წინეთ მან 17 მილიონ მანეთად გაყიდა სასახლეში რაც ჰქონდა საუკეთესო ძველი მხატვრობა და თვალმარგალიტები.

## უმუშევრობა

დღევანდელ პირობებში უმუშევრობა ისეთი უბედურებაა, რომლის თავზე დატეხა ხოლერაზედ უარესია. უწინ, როდესაც მუშა უფრო მჭიდროთ იყო დაკავშირებული სოფელთან, როდესაც მას ცალი ფეხი სოფელში ჰქონდა მომაგრებული, უმუშევრობა დიდს ვერაფერს აკლებდა მას, რადგანაც უსაქმოდ დარჩენილი მუშა ქალაქიდან სოფლად მიდიოდა და იქ თავის რჩენას ადვილად ახერხებდა...

ახლა ცხოვრების პირობები თანდათან შეიცვალა. მრავალი მუშა სოფელს მოშორდა, თავისი იქაური საკუთრება გაყიდა, ბევრმა ქალაქ ადგილას შეიძინა სახლ-კარი და ამნაირად უფრო დამოკიდებული გახდა ქალაქის ცხოვრებაზედ და თავის დღიურ ნამუშევარზე. ახლა უმუშევრობა ხშირად უკანასკნელ ლუკმა პურს ართმევს მუშას და სამათხოვროდ უხდის მას საქმეს.

ჩვენ აქ არ გამოვუდგებით უმუშევრობის სამეცნიეროდ ახსნა-განმარტებას, არ გავიმეორებთ იმას, რასაც მეცნიერება ამბობს პერიოდულ კრიზისების და უმუშევრობის შესახებ, არ გავიმეორებთ ამას, რადგანაც ჩვენებურ ს.-დემოკრატებსაც კარგად შეგნებული აქვთ ყოველივე ეს,—ან რად არ შეიგნებენ, ეს შეგნება მათთვის საჭირო და სასარგებლოა, რადგანაც უცხო კაცის თვალში ამართლებს მათ და მსოფლიო კანონებით ხსნის იმას, რაც ნამდვილად პარტიულ მეთაურთა, შეუგნებლობით მოხდა.

რაც უნდა ილაპარაკონ ახლა ამ პარტიულმა მეთაურებმა ყოველ ჩახედულ ადამიანისთვის მაინც ცხადია, რომ ისინი მაინც თავს ვერ გაიმართლებენ იმ ბრალში, რომელიც მათ ედებათ და რომელიც საკმაოდ დიდია იმისათვის, რომ ხალხმა ეს ბრალი მათ აპატიოს.

დღეს დღეობით თუ ჯერ კიდევ პასუხს არ სთხოვს მათ ხალხის ფართო მასსები, იმიტომ, როს ჯერ კიდევ ნაკლებად არის შეგნება იქ, სადაც პარტიულ მეთაურებს „შეგნებული ელემენტები“ ეჩვენებათ, სადაც ისინი მოხერხებულის დემაგოგობით ამ „შეგნებულ“ ელემენტებს გუნდრუკს უკმევენ და ადიდებენ...

არც ერთი მწარმოებელი არ დახურავს თავის წარმოებას ჯინაზე ისევე, როგორც მუშა ჯინაზედ არ აიღებს ხელს თავის მუშაობაზე. ამიტომ აქა-იქ თუ მცირდება ან სულ იხურება წარმოება,—იმიტომ, რომ პატრონი იძულებული ხდება ეს წარმოება შეამციროს ან სულაც მოსპოს. მუქთად არც ერთი მუშა არ იმუშავებს და არც ერთი მწარმოებელი არ დახარჯავს ფულს და თითონაც არ გაცდება, თუ თავისი გასამრჯელო და დახარჯული ფულის სარგებელი მაინც თუ არ მიიღო...

და თუ იხურებოდა აქა-იქ წარმოება, იმიტომ, რომ მწარმოებელი ამ გასამრჯელოს და ამ სარგებელს ვერ ხედავდა.

კარგია, მუშამ თავისი ქირა ერთი ორად გახადოს, კარგია, სოფლელმა ერთი-ორად მიიზომოს მიწა, კარგია ისიც, რომ ყველამ ოქროთი და ვერცხლით გაიტენოს ჯიბეები და ფუფუნებაში იცხოვროს, მაგრამ ის, რაც სასურველია, მოსახერხებელი არის თუ არა? და თუ არ არის მოსახერხებელი, ღირს კი მოუხერხებელ რამეზედ ოცნება?

ოცნება კი არა, ამ მოუხერხებელ რისიმე მოსახერხებლად ჩვენებურმა პარტიის კაცებმა ბრძოლაც დაიწყეს. ეს ბრძოლა დასრულდა იმით, რითაც უნდა დასრულებულიყო,—საერთო უბედურებით... კაცმა რომ გითხრათ, ყელზე ქვას მოვიბავ და წყალში გადავვარდები, რომ ამნაირად ჰაერში ავფრინდე, ასეთ კაცს სულელად ჩათვლით, რადგანაც წინდაწინვე იცით, რომ ქვა ჰაერში ააფრენს კი არა, წყალში ჩასძირავს ადამიანს.

ასევე წინდაწინვე იცოდა ყოველმა ნამდვილად შეგნებულმა ადამიანმა, რომ სოციალისტური დროშის ქვეშ დაწყებული ბრძოლა ჩვენებურ მუშა ხალხს კეთილდღეობის ჰაერში კი არ ააფრენდა, უმუშევრობაში ჩასძირავდა, ქონებრივად მას დასცემდა და ძველ ადგილობრივ ვაჭრობა-მრეწველობასაც დაღუპავდა...

მე შაური რომ მქონდეს და ვინმემ ორი შაური მომთხოვოს, ამ ორ შაურს მივცემ მას თუ არა? მგონია, რომ არა! და ასევე არ მისცეს და ვერც მისცემდენ მუშებს მწარმოებლები იმას, რასაც ისინი მოითხოვდენ და ხშირად ბრძოლას და მშრალზე გაჩერებას ისევ გაქცევა არჩიეს და თავიანთი წარმოება დაკეტეს.

საზღვარ გარეთ მუშები თავიანთ ეკონომიურ მდგომარეობის გასაუმჯობესებლად ისეთ დროს არჩევენ ხოლმე, როდესაც წარმოება მაგრად დგას ფეხზე, როდესაც იგი ცდაშია და თან და თან მეტ მოგებას აძლევს მის პატრონს. ამ ახალ ზედ მეტ მოგების წილში ითხოვენ ხოლმე მუშები თავიანთ მდგომარეობის გაუმჯობესებას, ამაზედ მეტი მოგების იმედით იწყებენ ბრძოლას და გამარჯვებულიც რჩებიან, რადგანაც პატრონმა მათი მოთხოვნილება რომ დააკმაყოფილოს მას წინანდელთან შედარებით მაინც მეტი მოგება ურჩება.

ჩვენში ასე არ მოქცეულან. მოთხოვნილება მოთხოვნილებაზე მიაყარეს პატრონებს მაშინ, როდესაც პატრონი ხარჯსაც ძლივს ფარავდა როდესაც იაპონიასთან ომის გამო კრიზისი იყო ვაჭრობასა და მრეწველობაში, როდესაც პატრონის შემოსავალი წინანდელთან შედარებით მაინც დაკლებული იყო, როდესაც ეს შემოსავალი მას თითქმის არც ჰქონდა...

იტყვიან, რა საჭიროა ამაების გახსენება, წარსული შეცდომები ჩვენც შეგნებული გვაქვს, ახლანდელ უბედურებას მათი გახსენება ვერაფერს უშველისო...

საქმეც ის არის, რომ ეს წარსული შეცდომები ყველას კარგად შეგნებული არა აქვს და ყველამ ეს შეცდომები შეცდომათ თუ არ აღიარა, შემდეგშიაც მათი გარემოება არის საფიქრებელი. და ჩვენ ვფიქრობთ, რომ ეს შეცდომები მართლაც გამეორდება, რადგანაც ამ შეგნებას სრულებით ვერ ვხედავთ. დღევანდელი გაჭირვება, დღევანდელი უნუგეშო მდგომარეობა დღეს დღეობით აჩუმებს „ხალხის მესაიდუმლეთ“, მაგრამ დრო თუ გამოიცვალა და ხალხი ცოტაოდნათ მაინც წელში თუ გაიმართა, ისევ გამოვლენ ისინი. და „ჰკა მაგას“ ძახილით უწინდებურად აამხედრებენ ერთმანეთზე მუშას და პატრონს, გლეხსა და მემამულეს, ს.-დემოკრატსა და არა ს.-დემოკრატს,—ისევ იმ იბედურებას დაატრიალებენ ჩვენში, რომელიც ხალხმა ერთხელ უკვე გამოსცადა.

**ექაური**

## ჯარის კაცები

ადამიანი სახელმწიფოში ცხოვრობს. სახელმწიფოს არსებობისათვის ფულია საჭირო, მთავრობას ფული თუ არ ექმნა, ვერ მოაწყობს ვერც სასამართლოს, ვერც პოლიციას, რომელიც მშვიდობიანობის უზრუნველსაყოფად აუცილებელია. ამ ფულს მთავრობა ხალხისაგან იღებს სხვა და სხვა გადასახადის სახით და ეს გადასახადი—მსხვერპლია, რომელიც ვალად აძევს სახელმწიფოს საზღვრებში მცხოვრებ ყოველ ადამიანს.

ეს მსხვერპლი ხან მეტია, ხან კიდე ნაკლები, მისი სიმძიმე დამოკიდებულია ხალხის სიღარიბეზედ ან სიმდიდრეზე,—ქონებრივად წელმაგარი სახელმწიფო უფრო ადვილად იხდის დიდ გადასახადს ვიდრე ღარიბი ხალხი—მცირედს...

მხოლოდ ერთი მსხვერპლია, რომელსაც მთავრობა მოითხოვს სახელმწიფოს არსებობისათვის ყველას თანასწორად ემძიმება და ყველა სხვა მსხვერპლზე უფრო მძიმეა—სამხედრო სამსახური. ჯან საღი, სიცოცხლით სავსე ადამიანი სამხედრო სამსახურში მიდის იმისთვის, რომ მთავრობის ბრძანებით თავი შეაკლას იმას, ვისაც მთავრობა სახელმწიფოს მტრად აღიარებს. ომის დროს ჯარის კაცმა ხშირად არ იცის ომის მიზეზი, არ იცის რა დანაშაური მიუძღვის მოპირდაპირე ჯარის კაცს, რომელიც მასავით ომის ველზეა გამოსული და მოსისხლე მტერსავით ცდილობს ტყვიით მისი უმანკო გული განგმიროს.

გადასახადის სახით მიცემულ ფულს ადამიანი დაიბრუნებს, მთავრობის ბრძანებით ბრძოლის ველზე დაკარგულ სიცოცხლის დაბრუნება კი არავის არ შეუძლია...

ამიტომ მთავრობა ვალდებულია ჯარში გაყვანილებს განსაკუთრებულად მოუაროს და მათ შესახებ ზედმეტი გულმტკივნეულობა გამოიჩინოს.

როგორ ექცევა ჯარის კაცებს მთავრობა რუსეთში? რა ზომებით ცდილობს იგი გაუადვილოს ყველას სამხედრო სამსახურში ყოფნა?

აი რა ცნობებს გვაძლევს სტატისტიკა:

ათი წლის განმავლობაში ყოველნაირმა ავათმყოფობამ საშინელის სისწრაფით იმატა ჯარებში. სურავანდმა იმატა 50 პროცენტით, ინფლუენციამ 40 პროც. ვენერიულმა ავათმყოფობამ 52,5 პროც. პაროტიტმა 30 პროც., ფილტვების ავადმყოფობამ 38,6 პროც. ნერვების ავადმყოფობამ 45,8 პროც..

ამაზედ რა უნდა ითქვას? ვინ არის დამნაშავე, რომ თანდათან იზრდება სნეულ ჯარისკაცების რიცხვი? რა ზომებია საჭირო, რომ მთავრობამ მეტი ყურადღება მიაქციოს იმათ, ვინც მთავრობისათვის სიცოცხლეს სწირავს და ოჯახს და თავის სამშობლოს მოშორებული, რამდენიმე წელიწადს კაზარმებში ატარებს.

აღარ ვიტყვით, თუ რამდენი ჯარის კაცი იხოცება იმის გამო, რომ ტფილ ჰაერში დაბადებული, ტფილ ქვეყანაში აღზრდილი ჩრდილოეთისაკენ იგზავნება, რამდენი ქართველი მოკვდა, რადგანაც შუაგულ რუსეთში მოუხდა ჯარებში სამსახური. თვით შუაგულ რუსეთის მკვიდრნიც იხოცებიან, სნეულდებიან, შრომისათვის და სიცოცხლისათვის უვარგისნი ბრუნდებიან შინ... საშინელებაა! ამ საშინელებას მეტი ყურადღება სჭირია, ეს ყურადღება უნდა გამოიჩინოს არა მარტო მთავრობამ,—თვით ხალხმა, მისმა მოწინავე ელემენტებმა, მისმა ფართო მასსებმა უნდა მიიღონ რამე ზომები იმისთვის, რომ ეს ჯარის კაცების უსარგებლო დასნეულება მოისპოს, რომ ჯარის კაცები საცხოვრებლად უკეთეს პირობებში ჩააყენონ, რადგან ც არ შეიძლება სახელმწიფომ რამე დაიშუროს იმათთვის, ვინც ახლანდელ პირობებში სახელმწიფოსთვის სიცოცხლის შეწირვასაც არ ერიდება.

**ს. ვ—ლი**

## სპარსეთში

რუსების ჯარი სპარსეთიდან ბრუნდება. რუსეთის და სხვა უცხოელმა ელჩებმა ოსმალეთის ელჩის გარდა მუქარის წერილები მიიღეს. ამ წერილებით სპარსეთის ხალხი რუსების ჯარის გაყვანას ითხოვდა. სპარსელები იმდენად გააბრაზა ამ ჯარის მოქმედებამ, რომ თავრიზში რუსეთის საელჩოსაც დაეცენ ვიღაცეები, დაეცენ აგრეთვე ამ ჯარის ყარაულებსაც.

ამნაირად რუსების სპარსეთში ჩასვლამ ვერ დაამყარა იქ მშვიდობიანობა. ტყუილი გამოდგა ის იმედები, რომელიც გაუღვიძა გულში სპარსეთის შახს რუსის ჯარების გაგზავნამ. ოსმალეთის გავლენა სპარსეთში რუსეთის გავლენაზე მეტი გამოდგა, ოსმალეთი, რომელიც სპარსეთის საკონსტიტუციო ელემენტებს იფარავს, დიპლომატიურად გამარჯვებული დარჩა. დამარცხდა რუსეთი, რომელიც სპარსეთის თვითმპყრობელს იცავდა. ოსმალეთი იმხრობს ამნაირად სპარსეთის ხალხს და უერთდება მას საერთო მტრების დასამარცხებლად.

## ფერშლები

10 ივნისს ქ. კიეში გაიხსნა ფერშლების და ბებია ქალების კრება. ამ კრებას დიდძალი ხალხი დაესწრო, თითქმის 450 კაცზე მეტია. კრებაზე დასასწრებად ზოგიერთი ფერშალი ციმბირიდან და კავკასიიდანაც ჩავიდა.

წაკითხულ იქმნა სხვათა შორის მოხსენება „ფერშლების უფლებრივ მდგომარეობის“ შესახებ“. ეს მოხსენება წარდგენილი იქმნება სათათბიროში.

ამ მოხსენებაში სხვათა შორის სწერია შემდეგი:

ხალხის გაჭირვებული ქონებრივი მდგომარეობა დღეს დღეობით აუცილებლად ხდის ფერშლების არსებობასაც. არ შეიძლება ვიფიქროთ, ვითომც ფერშლები დროებითი მოვლენა იყოს. რუსეთზე უფრო კულტურულ და მდიდარ ქვეყნებშიაც ყოფილა თავისი ფერშლები- ფერშლები სხვა და სხვა სახელწოდებით არის ინგლისში, [illegible] და იაპონიაში. იქაურ ფერშლებსაც ნაკლები სამეცნიერო მომზადება აქვთ და ექიმობა უფრო პრაქტიკულად შეუსწავლიათ. ის რაც ფერშლებმა იციან ექიმობის შესახებ სრული საკმარისია იმ საქმისათვის, რომელსაც ისინი ემსახურებიან. სამაგიეროთ მათი უფლებრივი მდგომარეობა ამ საქმეს სრულებით არ შეეფერება. რუსეთის კანონები ფერშლების შესახებ ამ 100 წლის წინეთ გამოიცა და მას შემდეგ არ შეცვლილა...

# ფელეტონი

## „წკიპურტი“

№ 3. გასართობი გაზეთი № 3.

### კვირის მეცხრე დღე.

სახელოვნება, წარსული კვირის გონიერებას და მეთაურში (ჩვენი პატიოსნება დრო) გავარკვიეთ ჩვენი დროის ადამიანის მსოფლ-მხედველობა და იდეალი. მაგრამ ის არა კმარა, საჭიროა კაცმა თავისი ცხოვრება ისე მოაწყოს, რომ ისიამოვნოს კიდეცა და სახელი მოიხვეჭოს, გონიერი კაცის სახელი გაიგდოს და პატიოსნადაც გამოჩნდეს. თუ გინდათ სახელი მოიხვეჭოთ დასწერეთ მოთხრობა, წერილი და გაკიცხეთ საზოგადოებრივი მანკიერება, როსკიპობა-მეძაობა, უქნარობა, თვითმპყრობელობა, ამხანაგის ღალატი, კაცის კაცზე გაბატონება, ილაპარაკეთ საზოგადო კრებებზე და კამპანიებში თამადობის დროს.

თუ „სცენაზე“ შეხვედით და რაიმე უფროსობა ჩაიგდეთ ხელში, იქაც „კორექტნად“ მოიქეცით და როდესაც ამგვარად ნდობას მოიპოვებთ, ქალებიც დაგიახლოვდებიან. შემთხვევით ისარგებლე უმანკო, შეუცდენელი ქალი მიიზიდე, ის ხომ მოგენდობათ,—შეპირდი დაგაწინაურებთ-თქო და ერთი დღე-ღამის განმავლობაში ბოლო მოუღე, თუ ვინმემ შეგიტყოთ, ანუ ცოლმა გისაყვედუროთ, თავი იმითი იმართლეთ, რომ ჩვენი დრო სქესებრივ თავისუფლებას ქადაგებს და მე, როგორც მოწინავე კაცი, ამ აზრს ხომ ვერ უარყოფ-თქო... შემცდარი ქალი აღარ მიიკარო, რადგანაც ახლა სხვა შემოგთავაზებს თავის ხსეულს. სულს კი ნუ დაეძებ. საქმის მეთაურობა ხელიდან არ გაუშო და თუ გინდა წინ იყო, რამდენიმე დამქაში მიიხმარე, „პურ ღვინოში“, „ვენახ'ში“ ანუ „ოსებთან“ აქეიფე, 50—60 მან. დახარჯე ხოლო თუ მებუფეტემ დანახარჯი მოგთხოვოს, უთხარ, ახლა უკან ხომ ვერ ამოვასხამთქო. პირველ საამხანაგო შემოსვლიდან შენი დანახარჯისა გაასტუმრებინე ხაზინადარს (ხაზინადარიც უნდა ამეგობრო და შენთან აქეიფო), ხოლო ამხანაგებს გამოუცხადე—შემოსავალი არ იყო, ცოტაოდენი გროშებია და მანათზე შვიდი კაპეიკი გაირიგეთ, მე არაფერს ავიღებთქო... თუ შენი საქციელის გამომჟღავნება გაბედოს ვინმემ, ეცადე სამსახურიდან გააგდებინო, საზოგადოებაში გამოასაღმო შენის „ტარტიუფურის“ სიტყვისა და კალმის წვერით... არამცა და არამც არ გაბედო და საქმით ამხანაგურად არავის მოექცე: სიტყვით იამხანაგე, საქმით გაუბატონდი, თუ გინდა თავზე არ წამოგასხდნენ...

აი, დევიზი: თუ გინდა ისიამოვნო, ინეტარო, სახელი და პატიოსნება შეიძინო და გონიერი კაცის სახელი დაგრჩეს,—სიტყვით ერთი იყავ, საქმით მეორე, სიტყვა სხვა გქონდეს, საქმე სხვა და შუა დიდი ზღვარი დაუდე.

### საამდროვო დარიგება

იყავ გველი, მორიელი
ქვემძრომელი, ქვეყნის მტერი,
უწმინდური დედის მკვლელი,
მზაკვარი და ბიწიერი,
მაგრამ გულში. . მხოლოდ გულში,
აშკ რად კი იქმენ „წმინდა“,
ვინც რა გითხრას—ადასტურე,
არ გამოსთქვა—რაც რომ გინდა...

* *
*

მოიწონე მღვდლის სიცრუე,
პატივი ეც ანაფორას,
სოფლის მჰამელს მიესალმე,
გაუღიმე ყოველ მცონარს,
ნუ ეტყვი თუ მუქთა ხორომბს,
გლეხის ოფლის არს მჭამელი,
თუ გსურს იყო მიღებული
კარგი გქონდეს შენ სახელი!..

*
* *

როს მოგესმის ქვეყნის ჭორი,
ბრძნულად თავი აკანტურე
ისე, ვითომც ბევრი იცი,
რაც გიბრძანონ, ადასტურე.
დამერწმუნე, მიგიღებენ
ჰკვიან კაცად ქვეყანაში,
შენ რას კარგავ, ჩუმად იყავ,
მხოლოდ ბატონს მიე ტაში...

* *
*

თუ კამათი ჩამოვარდეს
და სიცრუე წამოროშეს,
აურიეს, დაურიეს
თვის ნათქვამი ვერ მოხარშეს,
ჩუმად იყავ, შებრუნება
შენ სიტყვისა არ გაბედო,
თუ გსურს ქვეყნად კარგი კაცის
სახელი შენ დაიკვეთო!..

*
* *

ხალხსა ტყავი თუნდ გააძრონ,
გაუწყვიტონ ლუკმა-პური,
და ძმამ ძმისა დასანთქმელად
გაამეფოს მტრობა-შური,—
არ გაბრიყვდე, არა რა სთქვა,
დაუკარი იმათ ტაში,
რომ უეცრად არ ჩავარდე
საკიცხავად ხალხის ყბაში...

* *
*

ვსთქვათ, თუ ვინმე გველობს, ავობს,
კაცს არ ინდობს—ჰკლავს, მძარცველობს
აღარავის აღარ ინდობს ლობს
ამასთანვე ვითომ ქველობს,
არსად სთქვა, ჩუმად იყავ,
მხოლოდ თავი აკანტურე
და ზევიდან რაც გიბრძანონ
ცხოვრებაში ადასტურე!..

* *
*

იყავ გველი, მორიელი,
ქვემძრომელი, ქვეყნის მტერი,
უწმინდური დედის მკვლელი,
მზაკვარი და ბიწიერი,
მაგრამ გულში..., მხოლოდ გულში,
აშკარად კი იქმენ „წმინდა“,
ვინც რა გითხრას—ადასტურე,
არ გამოსთქვა—რაც რომ გინდა...

**იზიძე**

### პირობა

(ქალის პასუხი)

გინდ დაკოდილი გმინავდე ველად
და შეგიმცირდეს ძალა, გმირობა,
გინდ ძმამ გაწამოს შეუბრალებლად
და მეგობარმაც დაგიწყოს მტრობა,
თუ გინდ ერთგული მოყვასი ჰკვცხო
და მით დაუწყო მტერს მეგობრობა,—
მხოლოდ ამას გთხოვ:—არ დამივიწყო,
მარად გახსოვდეს ჩვენი პირობა.

* *
*

დღე-ღამ უწყვეტლივ მუდამ მღეროდე,
სატრფოს მიიჩნდე როგორც გაჩენი;
შენც ერთგულებას ეფიცებოდე,
რომ საუკუნოდ იყვეთ მტკიცენი.
თუ გინდ გიხილო სიკვდილს ებრძოდე,
გტანჯავდეს სევდა, გტანჯავდეს სენი,—
სიკვდილის ჟამსაც გთხოვ, რომ გახსოვდე
არ დაივიწყო პირობა ჩვენი.

**ი. გრიშაშვილი.**

### მთიულს

(ვუძღვნი №-ს)

ფანდურს ჩამოჰკა თითები
შემართე სიმთა კრებაო,—
რათ არ მოალხენ შენსა მთებს
მუდამ რომ ნაღვლით ჰკრთებო!

—

მი ხარი, რაზედ დაშო დი
შენ აღმზრდელ მინდორ-კლდესო
ჯიხვი და არჩვიც დასტოვე
ბარად ნადირობ დღესაო!

—

ფანდური მოსთქვამს და ობლად
სალი კლდე იმდურებაო,
ცხვარი ჰკრთის, მწყემსი მწარედ სტირს,
დაჰკარგე ნეტარებაო.

—

შენი კვნესამე! მთის შვილო
ნუ ხარ სევდაში დანთქმული;—
კვლავ დაუბრუნდი სამშობლოს
და გაახარე მამული!

**ანნა გარეკახელი.**

*
* *

ნუ ნუ ენდობი არშიყ გოგონას
პეპელასავით თავს რომ გევლება;
ის შენ მოგხიბლავს, თავს შეგაყვარებს,
შემდეგ კი უცებ განზე დადგება.
მაშინ შეკრთები და თვალებიდან
ხარე ცრემლები დაგედინება..
ბევრსაც ინანებ დაღონებული
მაგრამ ვაი რომ გვიან იქნება?..

**ქნარი.**

ამიტომ ფერშლების უფლებრივი მდგომარეობა სრულებით არ შეეფერება იმ საქმეს, რომელნიც მათ აქვთ ფაქტიურად დაკისრებული.

აი მაგალითებიც: ყვავილის ამცრელი ყოველთვის ფერშალია, ამ აცრის შესახებ მოწმობის გაცემა კი მხოლოდ ექიმს შეუძლია.

ფერშალს არა აქვს უფლება უარი უთხრას ავადმყოფს მის საექიმოდ არ წავიდეს, მაგრამ თუ წავიდა და ექიმი მის სამსახურის რაიონში თუ არ ცხოვრობს, ფერშალის რეცეპტს აფთიაქი ვერ მიიღებს.

ფერშლების უუფლებობა საქმისთვის მეტად მავნებელია. ყოველი ფერშალი, რომელიც სვინდისიერად ასრულებს თავის მოვალეობას, ადვილად შეიძლება პასუხისგებაში მიცეს, რადგანაც ამ მოვალეობის ასრულება მას ყოველის მხრივ აქვს გაძნელებული კანონით.

ამიტომ საჭიროა ამ კანონების შეცვლა, რომ ფერშალმა და ხალხის ექიმობა კისროს.

## ქუთაისის ამბები

ქუთაისის საადგილ-მამულო ბანკის რწმუნებულთა კრებამ ბანკის წმინდა მოგებიდან 34,000 მანეთი გადასდო ქუთაისის ქართულ გიმნაზიის სასარგებლოდ; 3,000 მანეთი—თავად-აზნაურთა გუბერნიის წინამძღოლის ჯამაგირად და 3,000 მანეთიც ადგილობრივ სამეურნეო სკოლის სასარგებლოდ. ამასთანავე დაადგინა: ბანკის დამფასებლად ნამყოფს თავ. დადიანს მიეცეს ერთდროულ დახმარებად 1,200 მანეთი; მგოსანს აკაკი წერეთელს დაენიშნოს ყოველწლიური პენსია 1500 მანეთი, რომელიც ყოვეწლივ ხარჯთაღრიცხვაში უნდა იქმნას შეტანილი, როგორც სავალდებულო ხარჯი; ფერეიდნელ ქართველებს მიეცეთ ფერეიდანში ქართული სკოლის გასახსნელად 300 მანეთი; განთავისუფლებულ იქნას ბანკის ვალისაგან დ. ს. მესხის მამული, რომელზედაც დარჩენილი ყოფილა 390 მანეთი; ბანკის დამაარსებლის განსვენებულის ბესარიონ ღოღობერიძის სახელობის სტიპენდია დაენიშნოს მის ძმის ქალს, ქალთა წმ. ნინოს სასწავლებლის მოწაფეს; თფილისის განყოფილებაში მოსამსახურედ ნამყოფს ი. ს. ჯაფარიძეს მიეცეს ერთდროულ ჯილდოთ ნახევარი წლის ჯამაგირი; ან ისევ სამსახურში იქმნას მიღებული; უყურადღებოთ დატოვებულ იქნას ბანკზე დარჩენილ თფილისის მამულების მოიჯარადრეების თხოვნა საიჯარო გადასახადის შემცირების შესახებ; ბანკის გამგეობის წევრად ნამყოფი თავ. ნ. დ. ერისთავი ჩარიცხულ იქნას ბანკის პენსიონერებში: უარყოფილ იქმნას სამინისტროს წინადადება შესახებ იმისა, რომ ბანკის წმინდა შემოსავალი ეძლეოდეს თავად-აზნაურობას; დამტკიცებულ იქმნას სარევიზიო კომისიის მიერ წარმოდგენილი ანგარიში მის მიერ გაწეულ ხარჯებისა და მადლობა გამოეცხადოს კომისიას კრების მინდობილების პირნათლად შესრულებისათვის.

დასასრულ მოხდა მოსამსახურე პირთა არჩევნები. ზედამხედველი კომიტეტის წევრის ადგილზე კენჭი იყარეს: ა. ს. საყვარელიძემ, ი. ს. ფანცხავამ და თავ. მ. გ. ფალავამ, რომელთაგან პირველმა მიიღო 74 თეთრი და 17 შავი, მეორემ —60 თეთრი და 31 შავი და მესამემ— 46 თეთრი და 45 შავი. ამგვარად არჩეულ იქმნენ ბ-ნნი საყვარელიძე და ფანცხავა (ასარჩევი იყო მხოლოდ ორი წევრი). გამგეობის წევრის კანდიდატის ადგილზე კენჭი იყარეს თავ. ი. ნ. ნიჟარაძემ და ე. ს. ქუთათელაძემ, რომელთაგან პირველი არჩეულ იქმნა 60 ხმის უმეტესობით წინააღმდეგ 31 ხმისა და მეორე 50 ხმით 41 ხმის წინააღმდეგ. არჩეული პირები ყველა ოპოზიციის წევრები არიან.

— 16 ივნისს, დილის 8 საათზე, ქუთაისში ჩამოვიდა კავკასიის ნამესტნიკი გრაფი ი. ი. ვორონცოვ-დაშკოვი. სადგურზე მას დიდძალი საზოგადოება და ჯარები დახვდა. ნამესტნიკი მიესალმა სხვა და სხვა დაწესებულებათა წარმომადგენლებს. მოკლე სიტყვით მიმართეს მის ბრწყინვალებას და მიულოცეს ქუთაისში ჩამოსვლა გუბერნიის თავად-აზნაურთა წინამძღოლის მოადგილემ თავ. დ. ო. ნიჟარაძემ, ქალაქის მოურავმა ლორთქიფანიძემ და ებრაელების რაბინმა ელუაშვილმა. ორმა უკანასკნელმა პურ-მარილი მიართვეს ნამესტნიკს ვერცხლის ხონჩებით. სადგურიდან ნამესტნიკი თავის ამალის, დაწესებულებათა წარმომადგენლებისა და ჯარების თანხლებით ქალაქის საკათედრო ტაძარში წავიდა, სადაც დაესწრო მცირე პარაკლისს. ტაძრიდან მისი ბრწყინვალება გაემართა ფერმისაკენ, სამხედრო ოსეთის გზაზე დაბანაკებულ ჯარების დასათვალიერებლად. შემდეგ მან დაათვალიერა სამხედრო საავათმყოფო, საგუბერნიო სატუსაღო, ქართული გიმნაზიის ახალი შენობა, ებრაელების თორა და ნაშუადღევის პირველ საათზე საგანგებო მატარებლით ფოთისკენ გაემგზავრა.

— ნამესტნიკის ჩამოსვლის გამო 15 ივნისისათვის დანიშნული ქალაქის საბჭოს სხდომა არ შესდგა. შემდეგი სხდომა დანიშნულია 22 ივნისისათვის. ამ სხდომაზე განსახილველად დანიშნულია ბევრი საყურადღებო კითხვა.

— ქალაქის საალმშენებლო კომისია შეუდგა ინჟინრების თავ. დადიანისა და კანცელის და ჯავახიშვილის წინადადებათა განხილვას ქუთაისში წყლისაყვანის გამართვის შესახებ.

— ფერეიდანელი ქართველები ქიათურიდან დაბრუნების შემდეგ ბათომისა და ფოთის დასათვალიერებლად წავიდნენ.

**ისარა**

## 1905—1907 წ.

### აგრარული მოძრაობა ზემო ქართლში

(გაგრძელება)

25 ივნისი. დაიშალა „შავი რაზმი“, ამ რაზმიდან გამოეყო IV რაზმი „ფრონის ხეობისა“. ასის თავათ X ამოირჩიეს და დაბინავდენ ორ ჯგუფათ სოფ. ც—ში და კ—ში.

ყოველ ღამე მორიგეობით ცხენებით უვლიდენ დაწყობილ სოფ. ოქ—დან ვიდრე სოფ. ა—მდის.

ამათმა ღამე სიარულმა სოფლის მცხოვრებნი ძალიან შეაფიქრიანა და უნდობლათ უცქერდენ, თუმცა კი ჯერ მათ წინააღმდეგ არა ჩაუდენიათ რა, მაინც ელოდებიან და ფრთხილობენ. მათმა ღამე ყარაულობით სოფლებში ქურდ-ბაცაცები ველარას სჩადიან. დროებით სიწყნარე ჩამოვარდა.

11 ივლისი. სოფ. კ—ში მობრძანდა სამხედრო ტანისამოსში გამოწყობილი თ-დ. გ. მ. მაშინვე IV-ხე რაზმი შეიყარა.

ითქვა სალამი-ქალამი, აქეთური იქითური. და ბოლოს გ. მ. გამოუმჟღავნა V-ხე რაზმს გულის წყრომა ატოცის სომხებისადმი, რასაკვირველია, აქაურის ზოგიერთების ჩაგონებით.

— თუ რამე მოგვდის ჩვენ, მაგ ატოცის სომხების ბრალია და, საჭიროა, მაგათი მორჯულება, ჩვენი თავი უნდა ვაცნობოთ! დაასრულა გ. მ—მა.

— აი, ეხლავე წავიდეთ და ავიკლოთ დედა-ბუდიანათ! დაიძახეს ზოგიერთებმა.

ცოტა ხანს კიდევ ითათბირეს და ხარდაშვებისას სოფ. ატ—კენ IV ხე რაზმელები შიგდაშიგ ცხენებს მოახტნენ და გაემართნენ ასის თავის წინამძღოლობით.

ააწიოკეს ვასო როსტომოვის ოჯახი, სცემეს მას, ისაკა სტეფანაშვილს და ვანო როსტომოვის ოჯახებიც აიკლეს და ბევრი რამ დაიტაცეს.

ეს იყო მათი პირველი შავ-რაზმული თარეში და დიდი ბრალი მიუძღვის IV-ხე რაზმის წინაშე გ. მ. ს. ეს „შავი-რაზმის“ მეთაური რომ აქ არ მობძანებულიყო, IV-ხე რაზმი ამ სამარცხვინო საქმეს ასცდებოდენ და მოლიპულ გზას არ დაადგებოდა.

ამის შემდეგ გამვლელ გამომვლელი გლეხი აღარ გაატარეს, რომ არ გაეჩხრიკათ. ვისაც ხანჯალი ერტყა ან რევოლვერი, ართმევდენ, ბევრსაც მათრახი ხვდებოდა.

დაინახავდენ ნაბდიანს ვისმეს შორს მიმავალს, გამოეკიდებოდენ ცხენებით და, თუ საეჭვოთ დაინახავდენ, მეთრახებს უთავაზებდენ.

—

ივლისი. თ.-აზნ. გლეხებისაგან ისევ ბოიკოტი აქვთ გამოცხადებული. მოჯამაგირეები, თითქმის, აღარავის ჰყავს. სამკალი მოტანებულია, მოუმკელი რჩებათ. გადასწყვიტეს ფრონის ხეობის თ.-აზნაურობამ ერთმანეთს სანაცვლოთ მოხმარებოდენ—თან იარაღით ხელში და თან ცელებით დადიან ერთმანერთში სამუშაოთ.

თ-დ. ო. ა—ს სამკალ მაშინას რიგრიგობით ხმარობენ; ერთს სოფლიდან მეორე სოფელში გაიძღოლებენ წინ სამკალ მაშინას და თან სიმღერით, შეიარაღებულნი ბერდანებით და ცელებით მისდევენ. გაათავებდენ სამკალს ერთს სოფელში და, ვისიც რიგი იყო, მეორე სოფელში გადავიდოდენ. მუშაობით, რასაკვირველია, რაც შეეხება სამკალსა, რის გაჭირებით მუშაობენ უჩვეულნი თ.-აზნ. ყანას მაღლა სჭრიან; ბევრს თითქმის, ნახევრად წაუხდინეს სამკალი. წამდაუწუმ ჩრდილოებში მირბიან და სიმღერაში ატარებენ სამუშაო დღეებსა. ვისაც მუშაობა არ შეეძლოთ, დარბაისელნი სადილისათვის იყვნენ მომზადებულნი, სალვინით ღვინოებს წყაროებში აცივებდენ,

ო. ა—თან გახურებული მუშაობაა, თოფები ერთ ადგილს აყუდია და მასთან ყარაულები აყენია. ყანის გარშემო სამკალი მაშინა ურბენს, თან რაზმელები მისდევენ და ძნებსა ჰკვრენ. სალამოხანს მორჩნენ სამკალს. ო. ა—მა სახლში მიიწვია მომკალნი ჩაიზედ. ჩაისა სმენ. დაიძახეს, თოფი დაიკარგაო! ჯერ ყველა თავის თოფს ეცა. ლევან დიდებულიძის თოფი კი აღარსად აღმოჩნდა.

შესწუხდნენ სახლის პატრონები, დაიწყეს ძებნა.

შეკრეს ო,ა—ს სახლ-კარმიდამო. არც არავინ გარეთ გაუშვეს და არც არავინ შემოუშვეს.

ჯერ ეჭვი მიიტანეს კოტე ხერხეულიძეზედ,—თოფი შენ დამალე და გამოგვიჩინეო.

კოტე ხერხეულიძემ შემოუთვალა რაზმელებს,—მე არაფრის მქნელი არა ვარო.

შემდეგ ისევ ამ სახლის პატრონის მოჯამაგირეებს მოჰკითხეს. ერთმა მოჯამაგირემ უჩვენა:—ბაკში ვილაც თეთრ ხალათამ გაირბინა და იმას თოფის მინაგვარი ეჭირა ხელში.

თეთრ ხალათიანი ორნი იყვნენ: ერთი—კოტე ხერხეულიძე და ერთიც დ. ბ—შვილი.

ისევ კოტე ხერხეულიძეს მიუტრიალდენ,—შენა გაქვს თოფი და გამოგვიჩინეო.

— არა, ღმერთი, რჯული, მე არა მაქვს! ეფიცება ყველას.

— შენ მოიპარე, შე ასეთისეთო! დაუღრიალა ლ. დიდებულიძემ და თან თავისი სხვილი მათრახი გადაჰკრა,—ეხლავ თოფი გამოაჩინე, თორემ დაგხვრეტამო.

კოტე ხერხეულიძეს ნაცრის ფერმა გადაჰკრა, თვალებში ცრემლები მოადგა, მაგრამ მაინც თავისას იმეორებდა,—იცის ღმერთმა, მე არაფერ შუაში ვარ.

დაიძახეს,—ამაღამ სახლში ვერავინ წავა, ვიდრე თოფს არ ვიპოვნითო!

და დაიწყეს ძებნა.

რა გაეწყობოდა, უნდა დამორჩილებულიყვენ, ერთი თოფის დაკარგვამ ყველა ააღელვა და მთელი ღამე უნდა გაეთენებინათ.

დ. ფ. აქ დაესწრო, შუაღამემდის თვალ-ყურს ადევნებდა; ჩაეძინა.

ირაჟრაჟა. თოფი იპოვნეს, ნეხვში ბოსლის უკან დამალული.

დ. ფ. გააღვიძეს.

— ადექი. შენც მოსამართლე ხარ, ეუბნევიან,—კ. ხერხეულიძე უნდა გაასამართლოთ. მოსამართლეებათ ორიც სხვანი იყვნენ: მ. ბ. და ო. ა—ი.

მოსამართლეებს კ. ხერხეულიძე უნდა გაესამართლებინათ და სასჯელი დაედოთ.

დ. ფ—ის მოულოდნელი იყო მისი მოსამართლეობა, რადგან დანამდვილებით არ იცოდა კ. ხერხეულიძის არც დანაშაულობა და არც მისი სიმართლე, ვერც უარი განაცხადა მოსამართლეობაზედ. მ. ბ. დაიწყო:—სალდათათ რომ ვიყავი, როცა ამისთანა რამ მოხდებოდა პოლკში, ან უნდა დაეხვრიტათ, ან არა და როზგ ქვეშ გაეტარებინათ.—ჩემის აზრით, ამბობს მ. ბ.,—კოტე ხერხეულიძე უნდა გავატიტვლოთ და როზგი დავკრათ, რადგან აშკარათ მტკიცდება მისგან თოფის მოპარვა.

ო. ა. და დ. ფ. ერთი სიტყვა არ დაუძრავთ, როდესაც მ. ბ. ლაპარაკობდა, თანხმობის ნიშნათ თავს აკანტურებდენ, იმდენი ვაჟკაცობა არ გამოიჩინეს, რომ ამ გადაწყვეტილებაზედ უარი განეცხადებინათ.

გამოვიდნენ მოსამართლეები რაზმელებთან და მ. ბ—მა გამოუცხადა ყველას,—კოტე ხერხეულიძეს როზგი უნდა დავკრათო.

კოტე ხერხეულიძე გაიყვანეს ეზოში, ის იყო მზე ამოდიოდა, ირგვლივ სიჩუმე იდგა, მხოლოდ ფრინველთა ჟრიამული ისმოდა.

## მოწერილი ამბები

მანავი. აირია მონასტერი. ყაჩაღების სინსილა გაქრა, გზა-კვალი აგვებნია, „ერთობის კაცებისა“ ვერაფერი გავიგეთ, ერთის ალმა ხნულს მეორე დაბლა ხნავდა. პრისტავისა სტრაჟნიკს ვერ გაუგია, სტრაჟნიკისა მამასახლისს, და მამასახლისისა კიზმირს, ერთი სიტყვით ერთი ალთას, მეორე ბალთას მიდის. საშინელი სიბნელეა, საით წავიდეთ არ ვიცით. ესდეკებს მივეკედლოთ თუ ხულიგანებს?..

**დევნილი**

—

საგარეჯო. ერთობამ თქვენი ჭირი წაიღო. ისევ და ისევ ნეტარხსენებული ძველი დრო მოგვიბრუნდა: სინიდისი და სამართალი სასწორზე იწონება და საითაც ოქროს გირია, იქით გადასძლევს ხოლმე. ოქროს გირები სხვა და სხვა წონისაა: ათ შაურიანი, სამ მანათიანი, ხუთ მანათიანი, სამ თუმნიანი და მეტიც. ჯოჯოხეთი განათდა. დაგვეხმარენით!!

**სათაველი**

—

სართიჭალა. მთელმა სოფელმა გამოვილვიძეთ, ზურგი ვიბრუნეთ და ახლა მეორე მხარე მივუფიცხეთ მზეს. ისევ დუქნის წინა ვლაყბობთ და გამვლელ-გამომვლელთ ვათვალიერებთ. გზის მავერს უხვად ვყლაპავთ. ყველაფერი ფეხებზე გვკიდია.

**ბატი**

—

ახალ სოფელი (თფ. მაზრა). მშვენიერი აბანოები გავმართეთ პლანებზე და ორღობეებზე, წუმპე-გუბეებისა. მთელი სოფლის უწმინდურება შიგ არის მოქცეული. ვენახები უწყლობითა ხმება, მამა პეტრემ გადასწყვიტა: გზები და ბოგირები მოსპოს, თუ ჩვენ გზებზე გავლა მოგიხდეთ უექველად ურმის თავის კოფოზე ანუ ჭალებზე უნდა მოემლაჟქოთ თორემ ტლაპოში ზღართანი მოგძვრებათ, მამასახლისთან თუ საქმე გაგიჩნდეთ თან მოიტანეთ „ოქროს გალაღები“, „ხელის პუჭყი“ ერთი ხელადა ღვინო, ერთი ტრიცეტკა არაყი თავის „ჭიქი-პიქებით“ (უეჭველად კანცელარიაში უნდა მოიტანოთ) დამატლიანებული ძვალ-ძვული და ხარის თავები თუ დაგჭირდეთ— კანცელარიაშივე დაგხვდებით ტახტქვეშ. ვინც არ მოგვწონს—სამართალი არა აქვს, მამა პეტრეს სახლის დალცლა—დაქცევად ესმის, ლისტებათ ვაჭრობა შემოიღო და დუქნებსაც 7 საათზე აკეტვინებს—მე სახლშიაც გადავკრავო. ხმას ნუ ამოიღებთ, თორემ ბერდანკის კონდახით ჩაგაჩუმებთო

**ბარაქალა!**

—

ხაშმი. თადიაშვილისაგან ნაყიდი მინდორი ისე დავკუწეთ, რომ გუთნის შეტანადაც არა ღირდეს. პირობა დავდეთ, ერთობის დროს გაყვანილი გზები ისევ ძველებურ ყაიდაზე დავამშვენოთ: ორღობეებში ლაფი და წუმპეა, ეკალნარი ამოვიდა, „კანაოები“ ამოივსო დაე გატიალდეს, ისევ რიყეზე მოვლა გვირჩევნია. გზებისთვის არა გვცალია. საკოლო შენობის შეკეთებაც გადავდეთ—საძირკვლიანად არ დაინგრევა—არ შევაყენებთ. სოფელში გაყრილი ძმების სასოფლო ნადელების ბალახი მეველეებმა გავთიბეთ ჩვენი შრომის ფასად. ამის ანგარიშს არავის ვაძლევთ, ერთობის დრო ხომ აღარ არის, რომ ანგარიში მოგვთხოვონ. აფერუმ ჩვენ ბიჭობას!

**მეველეთაგანი**

ნორიო. მზე თვალებსა გვწ ამს: სკოლა არ გვინდა და ნურც არვინ ამოიღებს ხმას სკოლაზე, თორემ პრისტავს ჩავგვრით ბუნტოვჩიკობისათვის: ამოდენა გოლვები და მოუსავლობა ნასწავლების ბრალია.

**მსუქანი**

—

ივრის ხევი. მღინარე იორმა ერთ ხანად იკლო მაგრამ ახლა მატულობს: ცრემლისა და ოფლის გემო აქვს. აქეთ მგზავრობა სახიფათოა წყურვილი გვკლავს. სიცოცხლეს ფოთელი უყვითლდება.

**ივრის პირელი**

—

### ცხელ-ცხელი ამბები.

—

*** ერთ კერძო კრებაზე დაადგინეს, შეადგინონ უსაქმურთა კლუბი. კლუბის წევრებათ მიიღებიან ყოველი ჯურის ინტელიგენტნი—ქალნი და კაცნი, რომელთაც არ იციან თავიანთი სიცოცხლის დღენი როგორ დალიონ. წევრობის მსურველი ბევრი აღმოჩნდა.

*** ქართველ ქალების ერთ ჯგუფს განუზრახავს ლიტერატურულ წრის დაარსება. წესდებაში ერთი მუხლია, რომლის ძალითაც ყოველმა წევრმა უნდა იცოდეს თითო პატარა ლექსი აკაკისა, ილიასი და ბარათაშვილისა. მაგრამ რადგან ასეთები თითქმის არავინ აღმოჩენილა—წრე ვერ შესდგა,—თურმე ჯგუფელებიც-კი ვერ იცნობენ სამშობლო ლიტერატურასო.

*** მიუხედავათ იმისა, რომ თფილისში ამ ბოლო დღეებში საშინელი სიცხეები დაიჭირა, მაინც მრავალი ტვინგაყინული ქალ-ვაჟი აღმოჩნდა: ბევრი მათგანი რიგიანი ოჯახის წევრნიც არიან, განათლებულ-ნასწავლნი, მაგრამ მაინც ტვინი ვერ გალხობიათ. ამაზე არც თუ ვინმე იტკივებს თავს—ამბობენ ხალხის ჭირისუფალნი, რომ გალხობილ ტვინს ისევ გაყინული სჯობიანო..

### ჭკვის სალესავი

(„ეშმაკეული“ იგავი)

ერთი გამოჩენილი პატიოსანი ბერი დაუნათლიავდა ერთს კაცს: ნათლიობის შემდეგ, როგორც მოგეხსენებათ კარგად გადაკრეს. მასპინძელი—ნათლიმამა რაც ძალი და ღონე ჰქონდა ღვინოს სთავაზობდაო, ჩამოუთვალა სადღეგრძელოები ნათლულისა, ნათლიდედისა, ნათლიმამისა, კეთილი ანგელოზისა, რომელიც მფარველობას გაუწევდა ბავშს, ნათესავებს და სხვ. და სხვ. და სხვ. როცა კარგა შექეიფიანდენ, ბერმა თავისი ჯორი შეაკაზმვინა და გზას გაუდგა, გზაზე კუნკულა გადმოუარდა, ტალახში ამოეთხვარა, დაიხურა და გზას გაუდგა. გზაზე ჯორი წყალს მიადგა და დაეწაფა, რაც სწყუროდა—დალია ხოლო შემდეგ თავი აიღო და წყალს აღარა სვამდა. ბევრი ჩააცივდა:

— ჯორო, მიირთვი ჩემი ნათლულის სადღეგრძელო, ნათლიდედის, ნათლიმამისა, ჩვენი კაზნაჩეისა, არხიმანდრიტისა, ეპისკოპოზისა, არქიელისა..

მაგრამ ჯორი არა სვამდა.

მაშინ ბერმა თავდაკანტურებით ჯორს დეზი შემოჰკრა და უთხრა:

— ჯორო, შენ ბერი ყოფილხარ და მე კი ჯორიო...

**მხიარული მკვდარი**

### დეპეშები

—

**მეშვიდე ცა.** საიქიო-საქაოს დელეგატებმა შუამდგომლობა აღძრეს სადაც ჯერს არს, რომ ახალი სამყარო შექმნას ზესკნელსა ან ქვესკნელში იმ ადამიანების დასასახლებლათ რომლებიც არც ცოცხლებს ეკუთვნიან და არც მკვდრებს, არც საქაოს არგიან და საიქიოსაც აკლიან.

—

**ჯოჯოხეთი.** ჯაშუშებმა საკუთარი მართვა-გამგეობა შემოიღეს, მათი საიდუმლო კანონ-დადგენილებანი აშკარა კანონ-დადგენილებაზე მეტად საქმიანობს.

—

**მეტეხის ბასტილია.** ცრემლთა წყაროებმა ვეება ტბა დააყენეს, კედლები დანოტიოვდა, ცრემლში ვტივტივებთ.

—

**საიქიო.** გაქრეს ერთი მინისტრის და ორი გენერალ-გუბერნატორის მკერდი შიგნეულობის გამოსაკვლევად. სამივეს გული ქვად იყო ქცეული. ბევრი „იჩალიშეს“ მაგრამ ვერ დაამტვრიეს.

—

**სკვითეთი.** ცრემლი თუნგი ორი კაპეიკი,—ოფლი სამი კაპეიკი, არაყი— ექვსი აბაზი; ადამიანის ხორცი ლიტრა ექვსი შაური, ძროხისა—ექვს აბაზ უზალთუნი, ცხვრისა მანათი და ცხრა შაური. ვირის ფასმა აიწია, ადამიანისა დაეცა.

—

**ვერის ბაღების რაიონი.** აქ „ვაკეს მიკიტნის დუქნებში“ დიდი ამბებია სტუდენტების, კურსისტკების და მოწაფე ქალ-ვაჟთა შორის.. საღამოს რვა საათი შეიქნება თუ არა დაიწყობა წყნეთის ქუჩიდან ფაიტონების ხრიალი, შიგ ქალვაჟთა უშმაწურ სიტყვებით ღრიალი, მერე დუქნებში ბოთლების სრიალი, არღნების ჭრიალი, მერე ამას მოჰყვება მოსწავლე ქალების ფრიალი ბუჩქებში

კ. ხერხეულიძეს თოფიანებმა წრე შემოავლეს, ბერდანებში პატრონები ჩაჰყარეს და მ. ბ—მა დაუძახა ხერხეულიძეს:

— ხალათი გაიხადე!

კ. ხერხეულიძე ცახცახებს. სამარიდან ამოღებულს ჰგავს, ხალათს იხდის.

— პერანგიც გაიხადე! განმეორებით უყვირის მ. ბ.

ხერხეულიძე ათრთოლებულის ხელებით პერანგს იძრობს. ყველანი ჩუმათ შესცქერიან და უხერხულათ გრძნობენ თავსა.

— დაწექი, უბრძანებს მ. ბ.

ხერხეულიძე პირქვე დავარდება. პირველად მ. ბ. დაჰკრავს მათრახს რამდენჯერმე. თითო დაკვრაზედ ტანზედ ზოლივით წითლათ აჩნდება.

შემდეგ დ. დიდებულიძე დაჰკრავს სხვილ მათრახს ზედიზედ, ხერხეულიძე დაიკლაკნება და ბეჭები სისხლით შეიღება.

ყველას გული ეთანაღრებოდა, არ აყვნენ დარწმუნებულნი მის დანაშაულობაში, თუმცა ყველა საბუთი, მოწმების ჩვენება მის წინააღმდეგ იყო ნაჩვენები.

ო. ა. და დ. ფ. უხერხულად გრძნობენ თავს და სინანულში არიან.:—ნეტა მოსამართლეთ თანხმა არ გავმხდარიყავითო.

რაღას მოეწეოდენ!

**Legatus**

## სამარცხვინო ოინები

დაწყებული 1894 წლიდან 1905 წლის გასვლამდე გაზ. „ივერიის“ მუდმივ თანამშრომლად ვიყავი. მოგეხსენებათ, რომ კორესპონდენტებს, არა თუ 7—10 წლის წინად, არამედ ეხლაც, როდესაც პრესსის და სიტყვას თავისუფლებაზედ ვყვირით, სასტიკად დევნიან, „შავ-ბნელ მოღვაწეობის მფარველნი“. მეც არ ამცილდა ასეთი ბედნიერება, არც მაშინ და არც ეხლა: 1903 წელში ერთმა ვინმემ, ჩემი კორესპონდენციების გამო ჩემზედ უკმაყოფილომ და აგრეთვე სხვა მიზეზთა გამო დაინტერესებულმა პირმა, მოათავსა „კვალში“ ის სიმართლეს მოკლებული ცნობა, რომელიც ჯერ ამას წინად „ბელზებელ-ხითხითებმა“ „ეშმაკის სალამურში“ და დღეს კიდევ ბ. მან-ბანმა „ჩვენი აზრის“ 29 ნომერში გადმოისროლეს ჩემსკენ, რასაკვირველია დღევანდელ ჩემი მოწინააღმდეგეების შეკვეთით და თხოვნით, შურის საძიებლათ, თორემ რათ დასჭირდათ ამ ვაჟბატონებს შვიდი წლის წინად შეთხზული ჭორის გახსენება, სად იყვნენ აქნობამდის, რატომ მაინც და მაინც დღეს გამოილაშქრეს ჩემსკენ?!

მან-ბანი ბრძანებს: „ბზვანელს მაშინდელი ბრალდება, როგორც მახსოვს, არ დაურღვევიაო“. ამის გამო, რადგან ეინტერესება, ვაცნობებ ჩემს „არა-მკითხე პროკურორს“, რომ 1903 წელშივე, „ივერიის“ მარტის ერთ-ერთ ნომერში (ნომერი არ მახსოვს), რომელიც გამოდიოდა ბ-ნ ა. სარაჯიშვილის რედაქტორობით, დაიბეჭდა დარღვევა თქვენი ბრალდებისა, თან უნდა დავუმატოთ, რომ „კვალიდან“ ის ცნობა გადაბეჭდილ იქნა „კავკაზ“-ში, რომელიც ჩაუვარდა ხელში მაშინდელ სასტიკ ბიუროკრატს, ოლქის უფროსს, ზავადსკის, რომელმაც დაუსვა კითხვითი ნიშანი, გაუგზავნა ქუთაისში დირექტორს და მოახდევინა ადგილობრივ გამოძიება საზოგადოების დაკითხვით, რის შემდეგ ცნობა იცნეს განგებ შეთხზულ ჭორებად. გამოძიება კი გაეგზავნა ოლქის მზრუნველს. (მოახდინეთ გამოკითხვა მზრუნველის კანცელარიაში). სიყალბის გამომჟღავნელთა წინააღმდეგნი ქომაგობას უწევენ დღეს ჩემს მოპირდაპირეს და ჩემზედ ჯინის ამოსაყრელად ამოფარებიან ნიღაბს, იერიქონის კედლების დამქცევ საყვირით დადიან და გაიძახიან: „როგორც გავიგეთ ლადო ნაცვლიშვილს სოფელში მასწავლებლობის დროს ჰყინტი ყველი და კვერცხები ჰყვარებიაო“.

თქვენს პირს შაქარი და მართა თოხლო კვერცხი, ბ-ნო მან-ბანო! ბარაქალა თქვენ მჭერმეტყველებას, „სიმართლის მოყვარულო იურისტო“. ეს კეთილი და პატიოსანი, მაგრამ ამით გინდათ გაამართლო თქვენი „კლიენტი“?! კარგ გონორარს კი მიიღებთ მისგან! რასა ჰგავს თქვენი ლოღიკა, ან ასე საცოდავათ რამ მოღრიკა?! დიახ თქვენ მიხდით მე სამაგიეროს სხვისი ჩაგონებით იმის გამო, რომ მე გამოვაქვეყნე „დროების“ 26 ნომერში ქუთაისის ქალაქის ორ-სამ მასწავლებელთა შორის ატეხილი კინკლაობა და „ციხის გატეხის“ ამბავი, ისიც გვიან და მაშინ, როდესაც აყროლდა. ჩემმა მოწინააღმდეგეებმა იმის გამო იერიში მოიტანეს ჩემზედ, ბევრი ლანძღვა-გინება დახარჯეს და იყვირეს „სასამართლო არ ყოფილა ნაცვლიშვილმა სიცრუვე დაბეჭდაო“, მაგრამ დამტკიცდა, იყო თუ არა სასამართლო; იხილეთ „დროება“ 102 ნომერი, შინაური საქმეები №№ 15 და 19, გამოძიება სასწავლებელთა გამგე კომისიის წევრის ბ-ნ ს. მიქელაძისა და გაიგებთ ვისაც სიყალბე ჩაუდენია. თქვენ თუ მიუდგომელი საზოგადოების წევრი ბრძანდებით, ჩემზედ უფრო „სიმართლის მოყვარული“ და სამარცხვინო ოინებით არ სცილობდე თქვენი „კლიენტის“ დაცვას და მდაბიო მკითხველთა დარწმუნებას, რომ მე ვითომ დიდი მომაკვდინებელი ცოდვა ჩავიდინე, რატომ თქვენ კრინტსაც არ სძრავთ იმ თქვენი „კლიენტის“ და მისი მედიატორების საქციელზედ?! ნუ თუ კიდევ არ გჯერათ, რომ სიცრუეს ისინი ადგენ?!... არა, ყოველივე იცით, მაგრამ გინდათ მიფუჩეჩება ჩემზედ ლანძღვა-გინების იერიშის მოტანათ, რათა მეც ლანძღვა-გინებაში ჩამითრიოთ და


# ავადმყოფთა საყურადღებოთ

რადგან გაჩნდა ჯანმრთელობისთვის მავნებელი ყალბი სპერმინი, რომელსაც სხვა და სხვა სახელით ასაღებენ, საჭიროა ყიდვის დროს ყურადღება მიაქციოთ სახელს

**СПЕРМИНЪ ПЕЛЯ**
**ПРОФ. ДОКТОРА**

SPERMINUMEOEH

და მოსთხოვეთ ის, რომელიც ჩაწყობილია პროფესორ **დოქტორის პელის და შვილებს ორგანოტერაპევტიულ ინსტიტუტის** მიერ პეტერბურგში.

რუსულ და საზღვარ-გარეთელ ლიტერატურაში მეცნიერთა და ექიმთა მრავალი მეცნიერული გამოკვლევაა სპერმინის შესახებ. ამ გამოკვლევებიდანა სჩანს, რომ სპერმინი მეტად სასარგებლო წამალია **ნევრასტენიის, სქესობრივ უძლურების, მოხუცობის უძლურების, ისტერიის, ნევრალგიის, სისხლ-ნაკლებობის, ჭლექის, სიფილისის, ვერცხლის წყლის წამლობით შედეგის, ქარები, გულის ავადმყოფობის** (სიმსივნის, გულის სკლეროზის, გულის ფრიალის, გულის კანკალის, მიოკარდიტის), **არტერიო კლეროზის, ალკოჰოლიზმის, ხერხემლის ტვინის დასუსტების, სიდამბლის, სისუსტის, დაჭანცულობის და სხვა ავადმყოფობის დროს.**

ამ მეცნიერთა და ექიმთა წერილები ეხება მხოლოდ პროფესორ დოქტორ პელის სპერმინს.

**სპერმინ პელისა** იყიდება ყველა აფთიაქ ა და დიდ სააფთიაქო მაღაზიაში: 1) კაპლების მსგავსად (Essentia spermini-Poe l) 1 ფლაკონი—3 მ., აგრეთვე 2) ამპულებად კანქვეშ შესასრულლად (sperminum-Poe l pro injectone) 1 კოლოფი ოთხ შესხურებისთვის—3 მ. და 3) კლიზმებისთვის (sperminum-Poe l pro clysm) 1 კოლოფი 4 კლიზმისთვის—3 მან.

უფასოთ იგზავნება წიგნი Цѣлебное дѣйствіе Спермина-Пеля (182 გვ.), რომელშიაც მოთავსებულია დაკვირვებანი რუს და უცხოელ ექიმებისა, აგრეთვე „Органотерапевтическій Сборникъ“ (მეორე გამოცემა), სადაც აღნიშნულია პროფესორ პელის სხვა ორგანოპრეპარატები. ბ-ნ ექიმებისთვის, თუ მოითხოვენ, განსაკუთრებული სამეცნიერო ლიტერატურა.

ორგანოტერაპევტიული ინსტიტუტი, ქიმიური ლაბორატორია და აფთიაქი პროფესორ დოქტორ პელის და შვილებისა.

პეტერბურგში, ვასილ. კუნძ., 7 ლინია, ს. № 18—268,

უმაღლესი საჩუქარი (Grand Prix) ყველა მსოფლიო გამოფენაზე და საუკეთესო წერილები სამკურნალო ავტორიტეტისა.


მდაბიო ხალხს გზა და კვალი აუბნიოთ, ამის გამო მე ზედმეტად მიმაჩნია აწ ამ საგანზედ კამათი და ვსპობ თქვენთან ლაპარაკსაც, მით უმეტეს მაშინ, როდესაც სადაო საკითხი უკვე გამოირკვა; მაგინეთ რამდენიც გინდათ, სანამ არ მოგწყინდეთ. სირცხვილია პრესის თანამშრომლისათვის ამ გვარი მიკერძვა, და ოინები ჯინის ამოსაყრელად!

**ლადო ბზვანელი**

## „ივერიის“ რედაქციაში

**პასუხად ბატონ დ. გიგინეიშვილს**

თქვენ წერილში, რომელიც „ივერიის“ 23 ნომერში არის მოთავსებული, სხვათა შორის ჩემი ბარათი გაქვთ მოყვანილი, რომელიც შეეხება ადგილების სყიდვას და ადვილად მისახვედრია ვინც დააკვირდება იმ წერილს, რომ ჩვენ ორივეს ერთად ჩემის წინადადებით გვინდოდა ადგილები გვეყიდა და როდესაც თქვენგან ხელაღებულად შევხედე ჩემ თავს, (ე. ი. მარტო მოინდომეთ) რაღა თქმა უნდა ჩემ ჭკუაზე გავიარე. მე ეხლაც იმას ვფიქრობ რომ სწორედ ასე უნდა მექნა. გაგახსენებთ ბატ. დიმიტრი იმასაც რომ იმ ადგილების შესახებ მე და თქვენ ორხელ მოვილაპარაკეთ: ერთი შარშან ზაფხულში, მეორედ წელს აპრილის შუა რიცხვებში, ერთი და იმავე პირის თან დასწრებით. ვიმოწმებ იმ პირს რომ არასოდეს თქვენ ჩემთან გლეხების სახელიც არ გიხსენებია, მიკვირს, თუ ასე იყო რათ მალავდით, ოფიციალურად კი ქაღალდები თქვენ საკუთარ სახელზე არის ნაწარმოები. მაშასადამე თუ ჩემის ცნობით თქვენ როგორც დ. გიგინეიშვილი ყიდულობდით ადგილებს, ჩვენ ვითომ ეს უფლება ვინ წაგვართვა, მე როგორც გამიგია ადგილების სყიდვის ნება ყოველი კაცს აქვს, და თქვენ მონოპოლიას არ შეადგენთ. ეხლა სჩანს რომ თქვენი საინტერესო ადგილები ბანკმა ისევ პატრონს დაუბრუნა, მე არ ვფიქრობ რომ ბანკს ამით დიდი დანაშაული ჩაედინოს, თქვენ კი როგორც გეტყობათ დიდ ცოდვათ მიგაჩნიათ ეს და მე მდებთ ბრალს, ვითომც მოვეხმარე გურიელს (ეს რომ ასეა მე დასაბუთებით ვიცი) გულმოსულიც მიტომ ხართ ჩემზე. მარწმუნებთ რომ არც ოფიციალურად არც ისე კერძოთ, რომელიმე გამგეობის ანუ კომიტეტის წევრთან არც კანცელარიის რომელიმე მოსამსახურესთან მე ამის შესახებ სიტყვაც არ დამიძრავს და არც გამიგია თუ როდის მოხდა ეს ყოველივე. თქვენ იცით და იმ გაგეობამ რომელმაც პატრონს მამული დაუბრუნა ჩემთან რა დაგრჩენიათ.

**ივანე ნიჟ რაძე.**

## წერილი რედაქციის მიმართ.

ბატონო რედაქტორო უმორჩილესათ გთხოვთ თქვენ პატივცემულ გაზეთში დამისტამბოთ ჩემი მოკლე პასუხი ბ-ნ Фабрицій-სადმი, რომელმაც „ჩვენი საქმის“ მე № 30-ში ყოვლათ დაუმსახურებლათ გამლანძღა. გამოვყავარ მაბეზღარ და ზნე დაცემულ ადამიანათ თავის წერილში, ვითომ ჩემის მიზეზით ყოვლად უდანაშაულოთ დაეთხოვონ ყოფილი ფარმაცევტი და სხ. ბ. კორესპოდენტს თუ ნამდვილ საქმის ვითარება აინტერესებს ამგვარ ჭორების წერას უმჯობესია მობრძანდეს ადგილობრივ ბანკში და თუ წაკითხულის გაგება შეუძლია ნათლათ დაინახავს რომ მე ყველა მისგან წამოყენებულ ბრალდებებში ყოვლად უდანაშაულო პირი ვარ. ამასთან უნდა ვაუწყო ბ. კორესპოდენტს და „ჩვენი აზრის რედაქციას“ რომ მე ხელზე მოსამსახურე მუშა, საზოგადო ქსენონში, ვიყავი დათხოვილი თქვენგან ნაქებ პირებისგან იმიტომ რომ გავბედე და მათ არა სინდისიერ მოქმედებას შესაფერისი სახელი უწოდე და მასთან გამოვამჟღავნე ზოგიერთი მათი საიდუმლოებანი რომელიც ძირს უთხრიდა იმ გვარ სიმპატიურ დაწესებულებას როგორც საზოგადო ქსენონია. ყოველ კვირეულ გაზეთ „ჩვენი კვალის“ მე № 9-ში მოთავსებული შენიშვნა, რომელიც უმთავრესათ იყო მიმართული ექიმ ვ. ლ—ძის მიმართ დღემდის ბ-ნ ექიმისაგან დაურღვეველი დარჩა რითაც მან ნათლათ დაამტკიცა თავისი დანაშაულობა მაშინ რომ გამოჩენოდით და გაგეწიათ მისთვის ვექილობა უმჯობესი იყო ბ-ნ Фабрицій თორემ ეხლა დამერწმუნეთ გვიანღაა და უადგილოც.

**ივანე დარსაველიძე**

## ბიბლიოგრაფია

**თინათინ დედოფლის სვინაქსარი**

(1535 წ., № 139)

ეტრატზე დაწერილია: თავი და ბოლო აკლია. შეიცავს 361 კარგად გამოქნილ ტყავის ფურცელს. ყდა ხისაა, ტყავ გადაკრული, ხელი ლამაზია, ხუცურ ნუსხური.

სვინაქსარი იწყება 1-ლ ენკენისთვიდამ და თავდება 31 აგვისტოთი (მეორე წლისა) შემდეგ (ფურც. 278) მიჰყვება ვრცელი საწელიწადო მაჩვენებელი საკითხავებისა და სახსენებლებისა და ბოლოს (ფ. 159 ბ) ჩართულია ცნობა დოროთეოსისა ქრისტეს 70 მოციქულების შესახებ.

ეს სვინაქსარი და ბევრი სხვაც თარგმნილია ბერძნულიდამ გიორგი მთაწმინდელის მიერ (ფ. 278). იგი გადაუწერია აბრაამ დავითისძეს.

> ფრიადითა ჭირითა და გულს მოდგინებითა გარდამოვწერე... ვაიმე და ვაიმე! ჭირნი უსახლობისა და შურის მეძიებელთა და მოშურნეთა კაცთა სიბოროტენი და მრავალნი უსამართლოებანი მათნი, რომელი ესე ღმერთმან ნუ ვის მისცეს ესე ვითარი! რამეთუ მე თვით სოფლისა ღელვათა და განსაცდელთა შინა ვეფალ ყელთამდის...

იგივე განაგრძობს: „სადა ვინ პოვა ესევითარი სვინაქსარი, თვინიერ სუფია წმიდ სა (სოფიის ტაძარში, კონსტანტინეპოლეს), სტუდიისა მონასტერსა და მთაწმინდას ქართველთა მონასტერსა (ათონის ქართვ. ლავრას)!

გიორგი მთაწმინდელის შენიშვნა (ფ. 47) ქართველების ნაციონალურ დღესასწაულის 10 გიორგობისთვის შესახებ:

> წმიდ. მამანო, ამას დღესა (10 ნოემბ.) დაღათუ ბერძენნი არა დიდად დღესასწაულობენ, არა რაი არს ყენებაი, რათა ჩვენ ვდღესასწაულობდეთ: რამეთუ ჩვენ პირველითგან ესრეთ გუაქუს ჩვეულებაი.

ბევრის მხრივ საგულისხმოა უკანასკნელი წერილიც ქრისტეს მოწაფეების შესახებ. ავტორი შენიშნავს, რომ დოროთეოსი ფრიად მოხუცი და მართალი კაცი იყოო, ამასთანავე მეტად განათლებული. მან შეჰკრიბა ცნობები ქრისტეს მოწაფეების შესახებ და ყველა ეს აღწერა რომაულ ენაზე და რომაულიდამ ჩვენ“ ვთარგმნეთო ბერძნულად (ფ.“ 362). დოროთეოზი აწამაო ივლიანე კეისარმა (361—363 წ).

დოროთეოსის მოთხრობით ქრისტეს მოწაფე ერმოგენი „მეგრელთა ეპისკოპოს იქმნა“. იგივე გვაუწყებს (№ 139-ში გამოტოვებულია: ანდრიამ, მოციქ პეტრეს ძმამ, იქადაგაო ბითვინიას, პონტოს, თრაკიას, სკვითიას, სევასტიას (ბიჭვინტას) სადა მდინარებენ აფსარი და ფაზისი.

ბოლო შენიშვნა გადამწერის აბრაამ დავითისძისა:

> ითარგმნა წმ. ესე წიგნი სვინაქსარი, მაუწყებელი ყოველსა საწელიწადო სამონასტერსა ქართველთასა ხელითა გიორგი დეკანოზისათა (იგულისხმება გიორგი მთაწმინდელი, რომელიც ჯერ ისევ ათონის ლავრის დეკანოზად იყო). ღმერთმან მადლი მიეცინ შრომისათვის და მოღვაწეობისა! დაიწერა ხელით გლახაკისა და ულირსისა და ცოდვილისა აბრაამ დავითისძისაითა, რომელი წარმოვემართე სამცხით, მთის ძირით კარჩხალის დაბით და ზედუბნით და საყდრით და ტაძრით ჯურისაი პატიოსნით და დავწერე წიგნი ესე სვინაქსარი ბრძანებითა პატრონისა დედოფლისა თინათინისაითა და ვიწყე გრემს, სანახებსა ღუთის მშობლისა საყდარსა შინა თუესა დეკენბერსა ექუსსა ქორონიკონსა სკგ, სამსა მთუარისასა გათავდა ალონს ტაძარსა შინა ნათლისმცემლისასა თუესა ივნისსა იბ-სა დღესა შაბათსა ქნსა სკგ-სა, ზედნადებსა კგ.

ქორონიკონი სკგ უდრის 1535 წელს. ამ ხანს კახეთში ცხოვრობდა გურიელის ასული თინათინ, მეუღლე ლევან მეფისა (1520—1574) და დედა ალექსანდრესი და იასესი. იგი გაეყარა თავისს ქმარს მის გარყვნილობის გამო, მონოზნობა თავს იდვა,ააშენა შუამთის მონასტერი, რომელსაც შესწირა: რვა კომლი უჯარმელი, რვა კომლი ბელაქნელი, მ კომლი გრემელი და სოფელი გულგულა.

ამავე განათლებულ თინათინ დედოფლის ბრძანებით აბრამსაც გადუწერია ეს ჩვენი სვინაქსარი. გრემს დაუწყია გადაწერა და ალონში ნათლისმცემელს დაუსრულებია. ალონი იგივე აწინდელი დიდი სოფელი ალავანია. მის ახლოს დღესაც არის გაუქმებული საყდარი ნათლისმცემელი, რომელსაც, როგორც გადმოგვცა მღვდ. ქარელიშვილმა, დიდად პატივს სცემენ თურმე თუშები და იქაური სხვა ქართველები. ნათლისმცემლის განახლება მოუწადინია ფვით ამ მღვდ ქარელიშვილს. კეთილი განზრახვაა, ვინაიდგან მამა-პაპათა ნაშთების დაცვა შვილთა საღმთო მოვალეობას შეადგენს.

ბოლო ყდაზედ შიგნიდგან მიკრულია ფურცელი, ალექსანდრე იმპერატორის მანიფესტის (საქართველოს შეერთების შესახებ) ნაწყვეტი რუსულადა და ქართულად:

„უკანასკნელ რათა სცნათ თქვენ ფასი კეთილად მმართებლობისა, რათა დამკვიდრდეს შორის თქვენსა მშვიდობა, მართლმსაჯულება, რწმუნება ვითარცა ნივთთა, ესრეთვე საქონლისცა, რათა მოისპოს თვით მმართებლობაი და მხეცებრივი უთანხმოება, რათა იქცეოდეს თვითოეული უმჯობესთა სარგებელთა თვისთა და საზოგადოებისადმი, თავისუფლად და უბრძოლველად შრომის მოყვარებდეს მიწისა მუშაკობასა, განზრახვათა, ვაჭრობათა და ხელთ საქმეთა შინა, საგრილსა ქვეშე სჯული ყოველთა თანასწორ მფარველთასა, ნაშთი და კეთილდღეობა თქვენი იქმ ების მხოლოდ ჯილდოდ ჩვენთვის. მიეცა საყდროსანსა ქალაქსა მოსკოვს სეკდემბრის იბ დღესა ჩყა წელსა.

„ნამდვილზე ქვემოწერილ არს საკუთარითა ხელითა მათის იმპერატორების დიდებულებისათა ესრეთ: ალექსანდრე“.

**მ. ჯანაშვილი.**

რედაქტორ-გამომცემელი
**კ. ი. ხერხეულიძე.**

თქრიალ-გრიალი და ყოველ დღე-ღამ **არის ერთი ვაი** უშველებელი ორომტრიალი.

## წერილი რედაქციის მიმართ.

ამხანაგო რედაქტორო!
ძმაო ფირუზ წკიპურტაძე,
გთხოვ გაზეთით გამამართლო
ამ უბედურ ქვეყანაზე.—
რომ „წკიპურტში“ მომუშავე
ფსევდონიმით „მე არ ვარ“
დაამტკიცე გეთაყვანე
რომ სრულებით მე არ ვარ! *)

**ბენტერა.**

## სცენა თერძის სახელოსნოში

**მუშტარი.** (თერძს) გიგო! ჩემი შარვალი ჯერ კიდევ არ დაგიმზადებია?

**თერძი.** არა, ბატონო.

**მუშტარი.** რატომ?

**თერძი.** ღმერთმა ნუ იცის ჩემი ბიჭის თავი. ვერ იცლის... აგერ სამი კვირაა... სულ გუბერნატორთან დარბის.

**მუშტარი.** რისთვის?!

**თერძი.** ნებარ ვისთვის, ბატონო! რედაქტორობა მოუნდა... და ახალი გაზეთი უნდა გამოსცეს სახელათ „ჩვენი ბურნუთი“.

**მუშტარი.** ? ? ?

**ირ. გირგ.**

*) შე საწყალო ბენტერა,
არც ჩვენ ვიცით ვინა **ხარ**
მაგრამ მაინც ვამტკიცებთ,
რომ „მე არ ვარ“,—შენ არ ხარ

**„წკიპ.“ რედ.**

## განცხადებანი

**დაჰკარგე** ქისა, რომელშიაც ელაგა ჩემი რწმენა, საზოგადოებრივი ალღო, გულწრფელობა და ხასიათის სიმტკიცე. მპოვნელსა ვსთხოვ: მხოლოდ ქისა დამიბრუნოს, რომელიც 1905—1906 წ. ნასახსოვრებია. **ქართველი ახალგაზდობა.**

**ქართული წარმოდგენა**

0001 წელს, 32 თებერვალს „ქართულ“ (თავად-აზნაურულ) თეატრში წარმოდგენილი იქნება ახალი ორიგინალური სიმბოლიურ-დეკადენტურ-პსიხოლოგიური 5 მოქმედებიანი პიესა.

**არტისტის ცრემლები.**

მოქ. 1—მშიერი მეფე; 2 მოქ. არტისტი და მეპურე; 3 მოქ. თავად-აზნაურთა გამგე და არტისტი; 4 მოქ. დვორნიკი და ხელოვნება; 5 მოქ. მუქთა კუბო და სამადლო საფლავი.

მონაწილეობენ: ქ-ნნი ცრემლი, ნაღველი, შფოთი და სხ.; ბ-ნნი: ჯოჯოხეთი, სევდა, ვარამი, გულისწყრომა, შეურაცხყოფა დამცირება და სხვა...

რეჟისორი: სიმშილ-სიტიტვლე.

რეჟისორის თანაშემწე: სიცხე-სიცივე.

სუფლიორი: გაჭირვება.

სცენარიუსი: კმაყოფილი — გაყოფილი.

ადმინისტრაცია ქართ. დრ. საზ. **ცარიელი კასა**

რედ.-გამომც. **ფირუზ წკიპურტაძე**

მსწრაფლბეჭდავი ამხ. „სორაპანი“ მადათოვის კუნძული № 1. ტელეფონი 539.